ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვისშესახებ№0300/10/ 370 29 დეკემბერი, 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთიმხრივ, **შპს„თბილისისსატრანსპორტოკომპანია“**(იურიდიული მის: ქ. თბილისი, ვაგზლისმოედანი №2),წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის - ექსპლუატაციის დირექტორის - გიორგი ხუციშვილის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 სექტემბრის №205 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში„შემსყიდველი“)დამეორემხრივ,**შპს „ვაბაკო“** (იურიდიულიმის: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №37, ბ. №221,ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ზაზა ბენდელიანის ქ. კორპ. №1, ბინა №2) წარმოდგენილი - დირექტორის სოსო ფიფიას სახით(შემდგომში„მიმწოდებელი“),ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, „სახელმწიფოშესყიდვებისშესახებ“საქართველოსკანონისადასახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს№13 ბრძანებით დამტკიცებული„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2016 წლის 25ნოემბრის **SMP160003015**მიმართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 1 დეკემბრის **№3289 განკარგულების** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველიორგანიზაცია“(შემდგომში „შემსყიდველი“) -ორგანიზაცია, რომელიც„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ -პირი, რომელმაცშემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

1.3. „ხელშეკრულებასახელმწიფოშესყიდვისშესახებ“ (შემდგომში„ხელშეკრულება“) - შემსყიდველორგანიზაციასა დამიმწოდებელს შორის დადებულიწინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტებით, მათ შორის,

1.3.1 მომსახურების აღწერა და ღირებულება (დანართი №1).

1.4. „ხელშეკრულებისღირებულება“ -საერთოთანხა, რომელიცუნდაგადაიხადოსშემსყიდველმაორგანიზაციამმიმწოდებლისმიერხელშეკრულებითნაკისრივალდებულებებისსრულიდაზედმიწევნითშესრულებისათვის.

1.5. ,,მომსახურება“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.7. „სისტემა“ - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგანშემსყიდველი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული**Vabaco HCM სისტემის პროგრამულ პროდუქტშიკომპანიის განსაზღვრული კატეგორიის პერსონალის მიერ ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს აღრიცხვისა და სახელფასე დანამატის გამოთვლა-დარიცხვის ლოგიკის შემუშავებისა და დანერგვის მომსახურების(შემდგომში - „მომსახურება“) შესყიდვა.**

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 72200000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 8 496(რვაათას ოთხასოთხმოცდათექვსმეტი) ლარით (დღგ-ის ჩათვლით)(შემდგომში - „ხელშეკრულებისღირებულება“).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადადა ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 21(ოცდაერთი) კალენდარული დღე.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი დაადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფი“).

5.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1.გაუწიოსკონტროლიხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისვადისა და ხარისხის დაცვას;

5.3.2.დაადგინოს გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

5.3.3.გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

6. მომსახურების საგარანტიო პირობები და ვადები

„შემსყიდველი“
შპს„თბილისისსატრანსპორტო კომპანია“

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ვაბაკო“

სოსო ფიფია
დირექტორი

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება დროული, ხარისხიანი, დადგენილი სტანდარტებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი №1-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი.
6.2მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული მომსახურების გამოსწორება მოახდინოს არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში ნებისმიერი სახის კომუნიკაციის საშუალებით (სატელეფონო ზარი, იმეილი, ფაქსი, მიწერილობა და სხვ.) შემსყიდველის დაკავშირების შემთხვევაში.
6.3 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად წარდგენილი გაწეული მომსახურების ინვოისის შემსყიდველის მხრიდან დადასტურების შემთხვევაში, ორმხრივად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დგება, მომსახურების მიწოდების შემდეგ არაუგვიანეს მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
7.4 მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.
7.5 მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდებაერთჯერადად მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, გაფორმებული მიღება-ჩაბარებისაქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის საკუთარი შემოსავლებით.
8.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.
8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
8.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ „სახელმწიფოშესყიდვებისშესახებ"საქართველოსკანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
9.1.1 განახორციელოს ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
9.1.2 ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;
9.1.3 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული კონფიდენციალურობის დაცვის პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.3 შემსყიდველი ვალდებულია:
9.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურება.
9.3.2 უზრუნველყოს მიმწოდებელი ყველა იმ ინფრასტრუქტურაზე საჭირო წვდომით, სადაც უნდა განთავსდეს პროგრამული პროდუქტი.
9.3.3 უზრუნველყოს მიმწოდებლის თანამშრომლები შემდეგი პირობებით: ა)სათანადო სამუშაო პირობები ბ) პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა.
9.3.4 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
9.3.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან გაწეული მომსახურების ღირებულებისანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.
9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:
9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
9.5.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად;
9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;
9.5.4 შემსყიდველსუმოკლესვადაშიაცნობოსმისიორგანიზაციისმოსალოდნელირეორგანიზაციისან/დალიკვიდაციისშესახებ;

9.5.5 მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.5.6 მომსახურების გაწევის დროს დაშვებული შეცდომები და ხარვეზები გამოასწოროს უმოკლეს ვადაში და საკუთარი ხარჯით;

9.5.7 შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ორი (2) დღისა წარუდგინოს შემსყიდველს ინფორმაცია ხელშეკრულების შესრულების ან/და შეფერხების მიზეზების შესახებ უფასოდ;

9.5.8 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება კვალიფიციურად და გაუფრთხილდეს აღჭურვილობას, დოკუმენტაციას, რომელსაც მას შემსყიდველი გადასცემს მომსახურების გასაწევად;

9.5.9 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს მომსახურების შეთანხმებული ფორმით გაწევის შემაფერხებელი ფაქტორების წარმოშობის შესახებ, ასევე მიუთითოს აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე;

9.5.10 დაიცვას კონფიდენციალურობა ყველა იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების პროცესში და შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე არ დაუშვას ასეთი ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ მესამე პირზე;

9.5.11 შემსყიდველის სერვერ(ებ)ით სარგებლობისას გამოიყენოს სერვერზე არსებული ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მის მიერ სამუშაოს შესრულებისათვის;

9.5.12 დაიცვას კონფიდენციალურობა.კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებაარ არის დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლასთან;

9.5.13 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთაწერილობითიშეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულებისვადისგასვლისგამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას;

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.5 საქართველოსკანონმდებლობითგათვალისწინებულსხვაშემთხვევებში.

12.მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1(ერთი) პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

„შემსყიდველი“
შპს„თბილისისსატრანსპორტო კომპანია“

გიორგი ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ვაბაკო“

სოსო ფიფია
დირექტორი

ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვისშესახებ№0300/10/370

ქ. თბილისი 29 დეკემბერი, 2016 წელი

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუხელშეკრულებითნაკისრივალდებულებებისშეუსრულებლობაგამოწვეულიაფორს-მაჟორულიმდგომარეობითან/დამხარეებიხელშეკრულებისშესრულებისპროცესშიწააწყდებიანისეთხელშემშლელგარემოებებს, რომელიცგამოწვეულიამათგანდამოუკიდებელისხვაობიექტურიმიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიცხელშეკრულების 12.13პუნქტითგათვალისწინებულიშემთხვევებისგამოვერასრულებსხელშეკრულებითაღებულვალდებულებას,ვალდებულიადაუყოვნებლივწერილობითაცნობოსმეორემხარესვალდებულებებისშეუსრულებლობისგამმწვევიმიზეზებისადამისიშესაძლოხანგრძლივობისშესახებ,ხოლოშეტყობინებებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 12.3 პუნქტითგათვალისწინებულიპირობებისდაცვისშემთხვევაში,მხარეებიუფლებამოსილნიარიან,გადახედონხელშეკრულებისპირობებსდაშეიტანონმასშიშესაბამისიცვლილება,ვალდებულებისშესრულებისვადისგაგრძელებასთანდაკავშირებითან/დავადამდეშეწყვიტონხელშეკრულებისმოქმედება.

14. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არცერთ მხარესუფლებაარააქვსმეორე მხარის წინასწარი წერილობითითანხმობისგარეშემთლიანადანწილობრივგადასცესმესამეპირსამხელშეკრულებითგათვალისწინებულიუფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად,რომელთაგან თითო ეგზემპლარიინახებახელშეკრულებისმონაწილემხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდანდა მოქმედებს 2017წლის 28თებერვლის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
შპს„თბილისისსატრანსპორტო კომპანია“
საიდენტიფიკაციონომერი: 202886788
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2-93 50 50.
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE86TB7319536020100002; ბანკი კოდი: TBCBGE22

„მიმწოდებელი“
შპს „ვაბაკო”
საიდენტიფიკაციონომერი:406102275
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ზოჭორიშვილის ქ. №37, ბ. 221.
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ზაზა ბენდელიანის ქ. კორპ. №1, ბინა №2
ტელ: (995 32)2 33 42 40; 593 06 63 63.
სს თიბისი ბანკი
ა/აGE86TB7319536020100002;ბანკისკოდი: TBCBGE22

„შემსყიდველი“
შპს„თბილისისსატრანსპორტო კომპანია“

_____
გიორგი ტუტბერიძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ვაბაკო“

_____
სოსო ფიფია
დირექტორი

ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვისშესახებ№0300/10/370

ქ. თბილისი

29 დეკემბერი, 2016 წელი

დანართი №1

დანართი №1 - მომსახურების აღწერა და ღირებულება

მომსახურების სია

მომსახურება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
პროგრამულ პროდუქტში ცვლილების შეტანა ლოგიკის შემუშავება ღამის საათებში მუშაობის სახელფასო დანამატის გათვლისათვის	კაც/სთ	120	70,8.	8,496.00

„შემსყიდველი"
შპს„თბილისისსატრანსპორტო კომპანია"

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „ვაბაკო"

სოსო ფიფია
დირექტორი